

მევენახეობისათვის სამუშაო აგრეგატის სრულყოფა

კლადიმერ მირუაშვილი, შორენა ქავთარაძე
სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, თბილისი, საქართველო

რეზიუმე. სტატიაში განხილულია კურძნის წარმოებისათვის საჭირო სამუშაოების მექანიზმების შესრულების საკითხი. დღეისათვის მსოფლიოში ვაზის (პალმეტური ვაშლის და სხვა ანალოგიურ მრავალწლიან ნარგავებში) მოვლითი სამუშაოების წარმოებისათვის გამოიყენება, ოთხთვალა საწევარი საშუალებები სხვადასხვა მარკის ტრაქტორების სახით, რომლებიც სავალი ნაწილით (თვლებით) მოქმედებენ მცენარის მახლობლად ნიადაგზე, რითაც წყვეტენ და აზიანებენ მცენარის ფეხვთა სისტემას და აუარესებენ ნიადაგის სტრუქტურას, ყოველივე ეს აკნინებს ვაზს, ამცირებს მის მოსავლიანობას და მოსავლის ხარისხს. ამასთან საწევარის მანევრირებისას წარმოიქმნება რიგში მდგომი მცენარეების დაზიანების საშიშროება და ვენახის გამეჩერიანება.

ამ მიზნით სასურველია გამოვიყენოთ ისეთი ენერგეტიკული საშუალება, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, შევამციროთ სასოფლო-სამეურნეო აგრეგატების (სსა) სავალი ნაწილით ნიადაგზე და მცენარეზე მავნე ზემოქმედება. გავზარდოთ სსა-ის სამანევრო თვისებები, რომელიც სსა-ის მანევრირებისას დაიცავს რიგში მდგომი მცენარეებს მექანიკური დაზიანებისა და განადგურებისაგან.

დღეისათვის მსოფლიოში მცენარეთა რიგებში სამუშაოდ და სარეველა მცენარეების გასანადგურებლად, გამოიყენება სხვადასხვა სახის სამუშაო ორგანოები მოდების განის რეგულირებით (კულტივატორის თათი, ფრეზი, ჰერბიციდების შემასხურებელი, გადახურებული ორთქლის გამფრქვევი და ა. შ). ყოველ მათგანს ტექნოლოგიურად აქვს, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მახასიათებლები. ნიადაგის მექანიკური დამუშავებისას საბრუნი თათით ან ფრეზით ნიადაგის დამუშავება მიმდინარეობს ერთიდაიგივე სიღრმეზე, რომლის დროსაც, რომ არ მოხდეს მცენარის დაზიანება, იძულებული ვართ სამუშაო ორგანო გავატაროთ მცენარისაგან გარკვეული დაცილებით, რაც მცენარის ირგვლივ ზრდის დაუმუშავებელ დამცავ ფართს.

შემოთავაზებულია მრავალწლოვან მცენარეთა რიგებში ნიადაგის დამამუშავებელი ორგანოს ახალი კონსტრუქციული შესრულება, რომელიც შესაძლებლობას იძლევა,


მცენარის ირგვლივ ნიადაგი დაამუშაოს წაკვეთილი კონუსის ფორმით, რომლის დროსაც სამუშაო ორგანო მინიმუმამდე მიუახლოვდება მცენარის ძირს და ამასთან მცენარის მახლობლად განვითარებულ ფესვთა სისტემას დაიცავს დაზიანებისაგან.

საქართველო მუკენახეობის ერთ-ერთი უძველესი კერაა. ჩვენში ვაზის გაშენებისა და მოვლის წესები ცნობილი იყო ძვ. წ. 3200-3300 წლის წინათ [1]. საქართველოში მუკენახეობას მისდევენ ისეთი რეგიონები, როგორიცაა: იმერეთი, გურია, აჭარა, სამეგრელო, აფხაზეთი, ქართლი და კახეთი, სადაც 500-ზე მეტი ჯიში და 4000 ორიგინალია წარმოდგენილი. სამრეწველო და მცირე ფერმერულ მუკენეობებში, ვაზის გამრავლების ორი ხერხია გავრცელებული, წიპტით (თესლით) და რქით. წიპტით გამრავლებისას ვაზის ფესვი მთავარდერძიანია, რომელიც შემდგომ იკეთებს ფუნჯა ფესვებს. რქით (ჩამუხვლით, გადაწიდვნით და მყნობით) გამრავლებისას, ვაზის ლერწი მრავალ ფესვს იკეთებს მუხლის არეში ნიადაგის ზედაპირთან ახლოს. სსა-ს მრავალწლოვან (ვაზის, პალმეტური ვაშლის, ატმის და სხვა მრავალწლოვან)




სურ. 1. ვენახის დამუშავების ოპერაციები: ა. ნიადაგის დრმად დამუშავება ვიბრაციული სამუშაო ორგანოთი; ბ. ნიადაგის ზედაპირული გაფხვიერება აქტიური სამუშაო ორგანოთი; ბ, დ, ე. ვენახში ძირების გამოხვნა; ვ, ზ. ვაზის შეწამელა; თ. ვაზის ყლორტების გადაჭრა; ი. ვაზის რიგში ბალახის ორთქლით დამუშავება; კ. ყურძნის მექანიზირებული კრეფა.

კულტურების ნარგავებში, მცენარეთა მოვლის და მოსავლის ადების დროს, რიგთაშორის ერთსა და იმავე ადგილზე (სავალ „ბილიქზე“) წელიწადში რამოდენიმეჯერ უხდებათ გავლა, რის შედეგადაც მცენარის მახლობლად იტკეპნება ნიადაგი (სურ. 2). ნიადაგის გატკეპნისას მის ზედაპირზე წარმოქმნება გარკვეული სიღრმის კვალი, რომელშიც ნალექების და მორწყვის დროს, ნიადაგის წყალგამტარობის შემცირების გამო, ადგილად გროვდება წყალი, რის გამოც იგი გვიან განიცდის შრობას, რაც შემდგომ სსა-ის გავლისას კიდევ უფრო მეტ დეფორმაციას განიცდის, რაც იწვევს მცენარეთა ფესვთა სისტემის კიდევ უფრო მეტად დაზიანებას და ნიადაგის სტრუქტურის გაუარესებას. ყოველივე ეს უარყოფით ზეგავლენას ახდენს მცენარის ზრდა-განვითარებაზე, მის მოსავლიანობაზე და მოსავლის ხარისხზე. ამას ემატება ისიც, რომ მცენარეთა რიგთაშორის სამუშაოების შესრულებისას, როგორც ტრაქტორზე, ისე სსმ-ზე მოქმედებს არაკანონზომიერად ცვლადი ფაქტორები, რომლებიც სისტემატურად არდვევენ აგრეგატის



სურ. 2. ტრაქტორის გავლებით გამოწვეული ნიადაგის დეფორმაცია.


შერჩეული მიმართულებით მოძრაობას, რასაც ვიზუალურად აღიქვამს ოპერატორი (ტრაქტორისტი) და საჭის მექანიზმებით აღადგენს აგრეგატის საწყისი მოძრაობის მიმართულებას. დეფორმაციის არსებული და ფართოდ გაგრცელებული ტრაქტორის საკიდი სისტემებით მუშაობისას, მცენარეთა რიგში ოპერატორის მიერ იძულებით აგრეგატის მანევრირებისას, ადგილი აქვს სსმ-ის განივად გადაადგილებას, ტრაქტორის მანევრირების საწინააღმდეგო მიმართულებით, რომლის დროსაც სსმ და მისი სამუშაო ორგანოები შეიჭრება კულტურულ მცენარეთა მწკრივში (რიგში) და იწვევს მათ დაზიანებას (სურ. 3). ეს პროცესი განსაკუთრებით საზიანოა ვენახში მუშაობისას, რადგან ვაზის მთლიანად მოჭრის ან მისი ნაზარდის სსმ-ის ჩარჩოზე ან მის სამუშაო ორგანოებზე წამოდების შემთხვევაში, რადგან იგი მიმუშლია მავთულზე, იწვევს მის წინ მდგომი ვაზების დაზიანებას, რაც ვენახის გამეჩერიანების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზთაგანია.



სურ. 3. ფართოდ გაგრცელებული საკიდი სისტემით, მცენარეთა შორის, ნიადაგდამუშავებელი აგრეგატის სქემა, ტრაქტორის მანევრირებისას.


ამ მეტად მნიშვნელოვანი ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით და საქცევის ბოლოს საბრუნი ზოლის შესამცირებლად, შეიძლება გამოვიყენოთ ექსპერიმენტული საკიდი სისტემა [2] (სურ. 4), რომელმაც წარმატებით გაიარა ლაბორატორიული და საგელე გამოცდები.

თანამედროვე ტექნიკაში განსაკუთრებული დადებითი მახასიათებლების - ძალური გადაცემის კონსტრუქციული სიმარტივე, მომხმარებელთა სიმრავლე, მათი განლაგების შეუზღუდავობა და გადაცემის რიცხვის დიდ დიაპაზონში უსაფეხურო რეგულირების შესაძლებლობათა გამო, მანქანათმშენებლობაში ფართოდ მოიკიდა ფეხი ჰიდრაულიკურმა გადაცემებმა, რასაც ხელი შეუწყო თანამედროვე მანქანათმშენებლობაში მაღალი ტექნოლოგიით (დიდი სიზუსტით) დეტალებისა და კვანძების დამზადების შესაძლებლობამ.



სურ. 4. ექსპერიმენტული საკიდი სისტემით, მცენარეთა შორის, ნიადაგდამამუშავებელი აგრეგატის სქემა, ტრაქტორის მანევრირებისას.

თავისუფალდგუშიანი შიგაწვის ძრავა, თუ იგი პრინციპული შესრულდება ისე, როგორც იგი წარმოდგენილია (სურ. 5-ზე) [3, 4, 5], შესაძლებლობას იძლევა, საწვავის დაწვის შედეგად მიღებული თბური (პნევმატიკური) ენერგია, გარდაქმნას პიდრავლიკურ ენერგიად, რომლის მქა მდგრ. $\geq 0,6$ აღემატება [6]. ასეთი ძრავით აღჭურვილი ტრაქტორის შესაძლებლობები კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და მომგებიანია, რადგან თავისუფალდგუშიანი შიგაწვის ძრავას თბური მქა მდგრ. $\eta_{\text{თ}} = 95,8\% - \text{s}$, ციკლის მქა მდგრ. $\eta_{\text{ც}} = 56,6\% - \text{s}$, ფარდობითი მქა მდგრ. $\eta_{\text{ფ}} = 80,2\% - \text{s}$, რაც გამოწვეულია იმით, რომ ძრავას არა აქვს მუხლა ლილვი, ე. ი. იგი კონსტრუქციულად მარტივია, არ ხარჯავს ენერგიას ძრავში განვითარებულ ხახუნზე და დგუშის ძირზე განვითარებული პნევმატიკური ძალა პირდაპირ გადაეცემა პლუნჟერის საშუალებით სამუშაო სითხეს. უმარტივესი გაანგარიშებები



სურ. 5. თავისუფალდგუშიანი შიგაწვის ძრავას პრინციპული სქემა. 1. ცილინდრი, 2. წვის კამერა, 3. დგუში,
4. საწვავი ნარევის (კარბურატორიანი ძრავას შემთხვევაში) ან პაერის შემშვები ფანჯარა
საწვავის პრისკით შეფრქვევისას, 5-6. პლუნჟერული წყვილი, 7. კარბურატორი ან
პაერმწმენდი ფილტრი, 8. პიდრობრავა.

გვიჩვენებენ, შიგაწვის ძრავა+პიდრობრავას საერთო მქა მდგრ. როლიც ტოლია:

$$\eta_{\text{ს}} = \eta_{\text{თდმ}} \cdot \eta_{\text{პდ}} \geq 0,6 \cdot (0,92 - 0,96) \geq 0,55 \dots 0,58, \quad (1)$$

ხოლო თანამედროვე ტრაქტორის იგივე მაჩვენებელი ტოლია:

$$\eta_{\text{ს}} = \eta_{\text{დ}} \cdot \eta_{\text{ტრ}} = 0,4 \cdot 0,87 = 0,35, \quad (2)$$

სადაც: $\eta_{\text{თდმ}} -$ არის თავისუფალდგუშიანი შიგაწვის ძრავას მქა;


$\eta_{\text{პდ}} -$ პიდრობრავის მქა;

$\eta_{\text{დ}} -$ თანამედროვე დიზელის ძრავას მქა;


$\eta_{\text{ტრ}} -$ ტრაქტორის ტრანსმისიის მქა.

(1) და (2) -დან მიღებული შედეგები მეტყველებენ, რომ ტრაქტორი თავისუფალდგუშიანი შიგაწვის ძრავით, წამყვან თვლებზე განავითარებს 23%-ით მეტ სიმძლავრეს, ვიდრე ცნობილი ტრაქტორები.


მევენახეობაში ზემოთ მოყვანილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით, დამუშავებულია ორთვლიანი საწევარის-ტრაქტორის შესრულების შესაძლო სქემები, რომლის მოძრაობა და გვერდითი მდგრადობა, დამყარებულია საბავშვო ორთვლიანი ველოსიპედის პრინციპზე (სურ. 6. ა), სადაც ორივე ძირითადი ცენტრალული თვალი წამყვანია, ხოლო ტრაქტორის გვერდითი მდგრადობის გაზრდის მიზნით, ორივე მხრიდან დამაგრებული აქვს მცირე ზომის თვითმიმმართველი საყრდენი თვლები (სურ. 6. ბ). იგი კონსტრუქციული სქემის მიხედვით შეიძლება იყოს სხვადასხვა სახით შესრულებული (სურ. 7, 8, 9), რასაც თან მოყვება ისეთი ტექნიკური მახასიათებელის შეცვლა, როგორიცაა აგრეგატის სამანევრო თვისებები, (მობრუნების რადიუსის სხვადასხვა მნიშვნელობები, მიუხედავად მათი ერთნაირი კონსტრუქციული ზომებისა). ასეთი ტრაქტორი ნიადაგის დეფორმაციას ძირითადად განახორციელებს ვაზის რიგთაშორის ცენტრში (სურ. 10), ან ცენტრის მახლობლად, ხოლო ვაზთან შედარებით ახლოს ნიადაგი უმნიშვნელო დეფორმაციას განიცდის თვითმიმმართველი თვლებით.




სურ. 6. ა. ორთვლიანი საბავშვო ველოსიპედი, ბ. ამავე პრინციპზე მოუშავე, ვაზის რიგებს შორის სამუშაო ტრაქტორის სქემა, გვერდხედში. 1 - ჩარჩო, 2 - წამყვანი ძირითადი თვლები, 3 - პასიური გვერდითი საყრდენი თვალი, 4 - ტრაქტორის ქვედა წევა, 5 - ამწი მექანიზმის პიდროცილინდრი, 6 - თავისუფალდგუშიანი შიგაწვის ძრავა, 7 - პიდროგამანაწილებელი, 8 - ბრუნთა რიცხვის რეგულირებადი პიდროამძრავი, 9 - საჭის თვალი, 10 - მიმმართველი თვლის და განივი პიდროცილინდრის დაწყვილებული პიდროგამანაწილებელი, 11 - საჭის მექანიზმის გამაძლიერებელი პიდროცილინდრი, 12 - წინა მიმმართველი თვლის სამაგრ-სამართი მექანიზმი.



სურ. 7. სსა-ის ვენახში მუშაობის სქემა, ცნობილი საკიდი სისტემით: ა. მანევრირების დაწყებამდე და ბ. მანევრირებისას; 13 - საკიდი სისტემის გერტიკალური წევები, 14 - სსმ-ის სამანევრო პიდროცილინდრი.




სურ. 8. გატეხილ ჩარჩოიანი ტრაქტორით, სსა-ის მუშაობის სქემა, ვაზის რიგთაშორის: ა. მანევრირების დაწყებამდე; ბ. მანევრირებისას.



სურ. 9. ტრაქტორის სქემა, წინა და უკანა წამყვან-მანევრირებადი თველებით, სსა-ის მუშაობისას, ვაზის რიგთაშორის: 16. უკანა თველის სახსარი. ა. სსა მანევრირების დაწყებამდე, ბ. მანევრირებისას, გ. საქცევის დასასრულს სსა მანევრირებისას.

ტრაქტორი, რომლის ქვედა წევებს შორის დიაგონალურადაა ჩადგმული პიდროცილინდრი (სურ. 7. ა), რომლის მუშა კამერები, დაკავშირებულია თავისუფალდგუშიან „ძრავ-ტუბმბოსთან“ დაწყვილებული პიდროგამანაწილებლებიდან ერთერთთან, რომლის მექანიზმით დაკავშირებულია ტარაქტორის მანევრირების საჭის მექანიზმთან, ეს უკანასკნელი ერთდროულად და სინქრონულად მოქმედებს საჭის გამაძლიერებელ პიდრო სისტემაზე და ტრაქტორის საკიდი სისტემის პიდროცილინდრის (სურ. 7. - ა) საშუალებით, ტრაქტორის ქვედა წევებზე, რომელთა საშუალებითაც სსმ-ას, ტრაქტორის მიმართ, გადაადგილებს გვერდით, იმავე მიმართულებით, საითაც ახდენს ოპერატორი ტრაქტორის მანევრირებას და როგორც ტრაქტორი, ისე სს აგრეგატი, ერთდროულად უბრუნდება მანამდე შერჩეული მოძრაობის ტრაექტორიას, რომლის დროსაც რიგში მდგომი მცენარეები დაცულია დაზიანებისაგან. ამ დროს არ ხდება სსა-ის სამუშაო ორგანოების მყისიერი შემობრუნება, მოძრაობის მიმართულების მართობად, რაც იცავს მის დგარებს და სამუშაო ორგანოებს დეფორმაციებისა და გატეხვისაგან. ამასთან საქცევის დასასრულს სსა-ის მანევრირებისას, მცირდება აგრეგატის საბრუნი ზოლის სიგანე. აქედან გამომდინარე ნაკვეთში იზრდება სასარგებლო ფართი.




სურ. 10. ვაზის რიგებს შორის მომუშავე ტრაქტორის სქემა.

იმ შემთხვევაში, როდესაც ტრაქტორის ჩარჩო ტეხადია (სურ. 8), საკიდი სისტემის დიაგონალური პიდროცილინდრით დამატებით დაკავშირებულია სახსრულად შეერთებული

ჩარჩოს ორ ნაწილთან, რაც შესაძლებლობას იძლევა ტრაქტორის მანევრირებისას, წინა და უკანა წამყვანი თვლები, ერთმანეთის პარალელურად განთავსდეს. ამ დროს ჩარჩოს სახსრული შეერთების მიმართ ბრუნავს სსა, რომლის დროსაც მცირედ განივად გადაადგილდება, სსა-ის მანევრირების საწინააღმდეგო მხარეს და იქმნება საშიშროება, რიგ ში მდგომი მცენარეების დაზიანებისა.

როცა ტრაქტორის უკანა წამყვანი თვალის მორგვი სახსარითა და იგივე ჰიდროცილინდრითაა დაკავშირებული ტრაქტორის ჩარჩოსთან (სურ. 9. ა), მაშინ ტრაქტორის მანევრირებისას (სურ. 9. ბ), მხოლოდ წამყვანი თვლები განიცდიან ჩარჩოს მიმართ შემობრუნებას ერთსა და იმავე მიმართულებით, ხოლო ტრაქტორის ჩარჩო და სსა გრძივ მოძრაობასთან ერთად ასრულებს განივად გადაადგილდებას, ე. ი. სსა მანევრირებისას მოძრაობს დიაგონალურად, არ ხდება სსა-ის შემობრუნება ტრაქტორის ჩარჩოს მიმართ, რის გამოც სსა-ის სამუშაო ორგანოების მიერ შესრულებული ტექნოლოგიური პროცესი ნაკლებად იცვლება. სსა-ის საქცევის ბოლოს საბრუნ ზოლში მანევრირებისას, ოპერატორის მიერ, უკანა თვლის სამანევრო ჰიდროგამანაწილებელის კამერები, წინასწარ გადაირთვება, რის შედეგადაც წინა და უკანა სამანევრო თვლები, ერთდროულად და სინქრონულად ურთიერთ საწინააღმდეგო მიმართულებით მანევრირებენ (სურ. 9. გ). ვინაიდან ნებისმიერი მობილური მანქანა მანევრირებისას ბრუნავს მიმმართველი და უკანა თვლების დერძების გადაკვეთის წარმოსახვითი წერტილის ირგვლივ, ამიტომ მობილურ მანქანებში, მობრუნების რადიუსის შემცირების მიზნით, ზრდიან მიმმართველი თვლის შემობრუნების კუთხებს, ხოლო როდესაც მობილური მანქანის წინა და უკანა თვლები ერთდროულად ახდენენ ურთიერთ საწინააღმდეგო მიმართულებით მანევრირებას, ასეთ შემთხვევაში მცირდება მათი დერძების გადაკვეთამდე მანძილი და შესაბამისად აგრეგატის მობრუნების რადიუსი. აქედან გამომდინარე ტრაქტორის შესრულების ეს ვარიანტი საუკეთესოა წარმოდგენილ სქემათა შორის.

ცნობილია, რომ ვაზის რიგში მცენარეთა დამუშავებისათვის გამოიყენება ცვლადი მოდების განის სსაბი, რომლებსაც უშვებს მრავალი ქვეყანა, სხვადასხვა მოდელებს მოდების განის მიხედვით (კულტივატორს საბრუნი თათით), მარკებით: ВПМ-2А; МПВ-3; ПРВ-4; КРВ-4; ПРВМ-3Х; МВУ-2; ОВП-0,45А; ТВС-2; ПАВ-8; ЧВЛ-2; ЧВЛ-3; ЧВС; МУВ-1; ВЗ-1; ТК-4; ПРВМ-3; СВК-3М; КВ-0,57; Крым; ППВ-3; АВН-0,5Б; ПВСВ-0,5Б CRV-3, MP4, CHS-1IA-C1, 2 მოდელი; CHS-2IA-C1, 2 მოდელი; CHM-1IA-C1, 2 მოდელი; CHL-1IA-C1, 2 მოდელი; CFP-ს, CXР-ს და სხვა; ფრეზებს თარაზულდერძიანის: FPS, Derby 15 მოდელს, BV 12 მოდელს,, FS დინიერ 8 მოდელს, ვერტიკალურდერძიანის: EL 7 მოდელს, EL-A 6 მოდელს, ELX 2 მოდელს, E-DUE 1 მოდელს, EP 6 მოდელს, VELOX 5 მოდელს და სხვა) [7, 8]. რომელთა ნაკლია ის, რომ დაკეცილია, თუ გაშლილი სამუშაო ორგანო, იგი ნიადაგს ამუშავებს ერთსადამავე სიღრმეზე. დაკეცვისას და დაკეცილ მდგომარეობაში, თათი იწვევს მცენარის ირგვლივ, ფესვთა სისტემის დაზიანებას, განსაკუთრებით ფუნჯა ფესვების; იმისათვის, რომ მცენარის ირგვლივ შემცირდეს ფესვთა სისტემის დაზიანება, იძულებით მცენარის ირგვლივ ტოვებენ დამცავ დაუმუშავებელ ფართს, რაც ასევა არასასურველია.



სურ. 11. კულტივატორის საბრუნი თათი და მისი მუშაობის სქემები ა. პრინციპული სქემა; ბ. რიგში ვაზებს შორის ნიადაგის დამუშავება, გ. ვაზის გასწვრივ ნიადაგის დამუშავება.

1 - კულტივატორის ჩარჩო, 2 - საბრუნი თათის სახსარი, 3 - საბრუნი თათის დგარა,

4 - საბრუნი თათი, 5 - მგრძნობიარე წკირის სახსრები, 6 - მგრძნობიარე წკირი.

ამ ნაკლის გამოსწორების მიზნით, ჩვენს მიერ დამუშავებულია, საბრუნი თათის ახალი კონსტრუქცია (სურ. 11. a), სადაც საბრუნი თათის დგარა, სახსრულად და დახრილადაა დამაგრებული ჩარჩოზე. ე. ი. $\alpha < 90^\circ - \theta$. რაც შესაძლებლობას იძლევა თათის მუშაობისას, ვაზის მწკრივში ნიადაგის დამუშავების სიღრმე ა ტოლი იყოს, აგროტექნიკით დასაშვები სიღრმის, ხოლო თათის სრული შემობრუნებისას, მისი წვერის მიერ ნიადაგის დამუშავების სიღრმე $a_1 > a$, ხოლო საბრუნი თათის ბოლოს მიერ ნიადაგის დამუშავების სიღრმე $a_2 = 0$. ამის სადემონსტრაციოდ დამზადდა მოქმედი მოდელი (სურ. 12), რომელიც ნათელყოფს კონსტრუქციის მიერ სასურველი მიზნის მიღწევის შესაძლებლობას.



სურ. 12. საბრუნი თათის მოდელი სხვადასხვა მდგომარეობაში:
ა. გაშლილი; ბ. შემობრუნების დაწყებამდე; გ. და დ. შემობრუნებული.

დასკვნები. 1. ვენახში მომუშავე ტრაქტორებს, სასოფლო-სამეურნეო ოპერაციების შესასრულებლად, ვაზის ძირის მახლობლად, ყოველწლიურად მრავალჯერ უხდებათ გავლა, ერთი და იგივე ზოლში, რაც იწვევს მცენარის ფესვთა სისტემის დაზიანებასა და ნიადაგის სტრუქტურის გაუარესებას;

2. სტატიაში წარმოდგენილია ტრაქტორის ახალი სქემა, რომელიც გამორიცხავს აღნიშნულ ნაკლოვანებას;

3. განხილულია ტრაქტორის შესაძლო შესრულების ვარიანტები და მისი სსა-თან კავშირის სხვადასხვა სქემები, რომლებიც თავისებურ ზეგავლენას ახდენენ სსა-ის მუშაობის მის სამანევრო თვისებებზე.

4. შემოთავაზებულია ვენახში სამუშაო საბრუნი თათის ჩარჩოზე დამაგრების ახალი პრიციპული სქემა, რომელიც შესაძლებელს ხდის, რომ ვაზის ძირთან ნიადაგი დაამუშავოს კონუსური ფორმით, რომლის ცენტრშიც ვაზის ძირია განთავსებული. ამით იგი შეამცირებს ვაზის გარშემო დამცავ დაუმუშავებელ ფართს და დაიცავს მცენარეს დაზიანებისაგან.

ლიტერატურა

1. <https://www.google.com/search?client> ვაზი — ვენახის გაშენება, ნერგის გამოყვანა, მოვლა-პატრონიბა, 22. 05. 2017 წ;
2. ვ. მირუშვილი, შ. ქავთარაძე, სატრაქტორო აგრეგატი, საქართველოს პატენტი №3550;
3. ვ. მირუშვილი, თავისუფალდგუშიანი შიგაწვის ძრავა, საქართველოს პატენტი №2278;
4. В. З. Мирошвили, свободнопоршневой двигатель, ав. Св. СССР №1017804, опуб. 15. 05. 83 г;
5. ვ. მირუშვილი, таვისუფალდგუშიანი შიგაწვის ძრავა, საქართველოს პატენტი №389;
6. Р. И. Саулгозе, Г. К. Лейшканис, в рубрике „Сенсация или ошибка в расчётах“, ж. Изобретатель и рационализатор в СССР №2 1975 г.;
7. <https://studfiles.net/preview/2092632/>;
8. http://ispgroup.com.ua/?page_id=3561;

THE DEVELOPMENT OF AGRAGATE FOR VINEYARD

Vladimer Miruashvili , Shorena Kavtaradze

Scientific-Research Center of Agriculture (SRCA), Tbilisi, Georgia

E-mail: vlmiruashvili@gmail.com

Summary

The article deals with the problem of mechanized performance of works necessary for grape cultivation and production. Today, for cultivation operations in vineyards (palmetto apple and other similar perennial plant orchards) four-wheeled tractors of various types are used, the running gear (wheels) of which affects the soil around plants, damaging thus the root system and deteriorating the soil structure. At the same time, upon maneuvering of the tractor the intercrops run the risk of damage.

In our opinion, it is desirable to use for the purpose a completely new design of a power unit, which would make it possible to lessen the adverse impact of the running gear of the tractor unit on soil and plants, to increase the maneuverability properties of the machine in order to protect the intercrops from mechanical damage and destruction during the unit's movement.

Currently, different working units (with adjustable coverage, such as a hoe, cutter, herbicide sprayer, a superheated steam atomizer, etc.) are used for tillage and for weed control in the rows of plants, all of them having technologically both positive and negative properties. Upon mechanical tillage by a double-pointed shovel or cutter, the soil is tilled at the same depth, because of which we have to operate the working unit at a definite distance from the plant, which increases the uncultivated area around the plant.

Proposed is a new design of the intercrop tiller, which allows for tilling around perennial plants conically, securing thus the protection of the root system developed near the plant from damage by its working unit.